დამტკიცებულია

შპს „მილენიუმის“ დირექტორის მიერ

_____

შპს „მილენიუმის“
სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

2018

სასკოლო სასწავლო გეგმა არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და რომლითაც, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი.

სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“.

დაგეგმე - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვა, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის პერიოდულობის, თანმიმდევრობის, შეფასების კრიტერიუმებისა და შემფასებლის ვინაობის განსაზღვრას.

განახორციელე - შესაბამის ვადებში, დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

შეამოწმე - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირების მიერ, მეორე ეტაპზე განხორციელებული ღონისძიებების შედეგების გაანალიზება, ნაკლოვანებების, ხარვეზების აღმოჩენა და წამოჭრილი პრობლემების განხილვა.

განავითარე - გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების განსაზღვრა, მათი აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის ადმინისტრაციისთვის წარდეგნა.

გარდა ამისა, სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით განხორციელდება მშობელთამ მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასების ანალიზი. მონიტორინგის ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე, აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენით, სკოლის დირექცია შეძლებს სასკოლო-სასწავლო გეგმის და შესაბამისად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლა გაატარებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი;
2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი;
3. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში;
4. სკოლის სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა;
5. სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
6. გაკვეთილების შეფასება-ანალიზი;
7. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო-სასწავლო გეგმის შექმნა;

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც დანართის სახით ერთვის დოკუმენტს.

დანართი 1

შპს „მილენიუმის“

ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა

საქართველოს კანონის “ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტს N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, განათლების ხარისხის ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია ავტორიზაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ მიღებულ შემდეგ სტანდარტებთან: საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი.

სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი) შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა სკოლის მთავარი ამოცანაა. სკოლა მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი ციკლით: **დაგეგმე – განხორციელე – შეამოწმე – განავითარე.**

1. **დაგეგმვა**– დასახული ამოცანების შესასრულებლად სკოლა გეგმავს ჩასატარებელ ღონისძიებებს. შეიმუშავებს გეგმას, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს, შესრულების ვადებს.

№	განსახორციელებელი სამუშაო	შემოწმების პერიოდი
1.	მატერიალურ –ტექნიკური ბაზის (მათ შორის საკლასო ოთახების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ერთი კვირით ადრე)
2.	სასწავლო ცხრილის შემოწმება და მისი შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე(ერთი კვირით ადრე)
3.	სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სასწავლო პროგრამის არსებობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე(ერთი კვირით ადრე)
4.	საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის სასწავლო პროგრამებთან შესაბამისობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება	სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ერთი კვირით ადრე)

5.	ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება	სასწავლო წლის ორივე სემესტრში პერმანენტულად
6.	მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების შემოწმება და შესაბამისი რეაგირება	სასწავლო წლის ორივე სემესტრში პერმანენტულად
7.	ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა და შეფასება	არაუგვიანეს ორი თვისა სასწავლო პროგრამის დამტკიცებიდან ან საჭიროებისამებრ
8.	სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების შემოწმება	პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს
9.	ანონიმური გამოკითხვის ანკეტების ფორმების შემუშავება	სასწავლო წლის ორივე სემესტრი (I კვირა)
10.	დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარება და შედეგების ანალიზი	სასწავლო წლის ორივე სემესტრი
11.	მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების ანონიმური გამოკითხვების ორგანიზება	სასწავლო წლის ორივე სემესტრი ან საჭიროებისამებრ
12.	ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი	სასწავლო წლის ორივე სემესტრი ან საჭიროებისამებრ
13.	გაკვეთილებზე დასწრება და საგაკვეთილო პროცესის ხარისხის შემოწმება	სასწავლო წლის ორივე სემესტრი ან საჭიროებისამებრ
14.	მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა	სასწავლო წლის ორივე სემესტრი
15.	ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგი	სასწავლო წლის ორივე სემესტრი
16.	ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	სასწავლო წლის განმავლობაში
17.	სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში, SWOT-ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
18.	მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე

2. განხორციელება – შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით სკოლა:

- საჭიროების შემთხვევაში სრულყოფს ანონიმური გამოკითხვის ანკეტებს, შესაბამისი ადამიანური რესურსის გამოყენებით, ახორციელებს მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარისხის, აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარ-ჩვევების, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების, რეალურად მიმდინარე

და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით;

- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პედაგოგიურ პერსონალს აცნობს სასწავლო პროგრამების შედგენის ინსტრუქციას;
- საჭიროების შემთხვევაში სრულყოფს სასწავლო პროგრამის ნიმუშს;
- შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობის და მისი საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ადგენს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის სასწავლო პროგრამებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობას;
- ადგენს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობას და პროგრამულ უზრუნველყოფას სასწავლო პროცესში მათი ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით;
- ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ადგენს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და მოკლევადიანი (ერთწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმების, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესაბამისობას სკოლის მისიასთან და კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებთან.

3.შემოწმება – შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- ✔ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ✔ მონიტორინგის ჯგუფის შექმნა და მათთვის დასახული ამოცანების გაცნობა; შეფასების მეთოდების შერჩევა; საკუთრივ შემოწმების/შეფასების პროცესი; შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების/რეკომენდაციების განსაზღვრა; სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმდება:

  ა) საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;
  ბ) ადამიანური რესურსი;
  გ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი – სასწავლო პროგრამის შეფასებისას შემოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის მისიას და რამდენად შეესაბამება სწავლების ფორმატი და სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევას, რამდენად ხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორაა დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების პროცესი და რა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით არის უზრუნველყოფილი იგი; რამდენად რაციონალურადაა შედგენილი საგაკვეთილო ცხრილი; ადეკვატურად არის თუ არა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია თუ არა სწავლის მიზნები, სასწავლო პროგრამის შინაარსი და მისაღწევი შედეგები; შესაბამისობაშია თუ არა სასწავლო პროგრამის შინაარსი და მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა; როგორ ხდება და რამდენად გამჭვირვალეა მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და სხვ. სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება აკადემიური/მოწვეული პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს.

ადამიანური რესურსები – ადამიანური რესურსების შეფასებისას ხდება აკადემური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის დადგენა შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლო პროცესის გაძღოლის შესაბამისი კომპეტენცია;
- სასწავლო პროგრამის შემუშავების უნარი;
- სასწავლო პროგრამებს შორის ლოგიკური კავშირისა და მათი შესწავლის თანმიმდევრობის გააზრება;
- სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ შესასწავლ საკითხებს შორის საათების რაციონალური განაწილება;
- სასწავლო პროგრამის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების მიზეზ–შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება;
- სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;
- სასწავლო პროგრამის შინაარსის განსაზღვრა თანამედროვე კონცეფციებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და მოსწავლეებისთვის მიწოდება;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეების ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასება;
- საგნის შინაარსის ადეკვატური სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სასწავლო პროგრამაში მითითება;
- საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

შემოწმების შედეგად თუ გამოვლინდა რომ გარკვეული ხარვეზებია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ან მასწავლებლები გამოთქვამენ სურვილს გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარების, ადგილობრივი რესურსით ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა დატრენინგებას და მათ პროფესიულ განვითარებას. შემოწმების შედეგად წამოჭრილი ზოგადი პრობლემები განხილული იქნება პედაგოგიურ საბჭოზე/საგნობრივი კათეთედრის სხდომაზე.

გ) მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შემოწმებისას ხდემა მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის. აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება–განახლება, სასწავლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა), კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისათვის და სხვ.), საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.), ვებ–გვერდი (უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას) და სხვა.

4. განვითარება – შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის

უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება. ამ მიზნით მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანონიმური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე სკოლა:

- შეიმუშავებს სასწავლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის რეკომენდაციებს;
- შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის რეკომენდაციებს;
- შეიმუშავებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების (მ.შ. წიგნადი ფონდის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვ.) განახლება-სრულყოფის რეკომენდაციებს;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის საქმიანობაში შესატანი ცვლილებების შესახებ;
- აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმას და მონიტორინგს უწევს მათ შესრულებას;

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

2017-2018 სასწავლო წლის SWOT ანალიზი

შიდა გარემო	ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses

გარეშე ფაქტორები	შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats

SWOT ანალიზით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, როგორ განვითარდა და საერთოდ განვითარდა თუ არა სკოლა. რა პრობლემები გადაიჭრა და რა ახალი პრობლემები გაჩნდა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.

მონიტორინგის, შეფასება–შემოწმებისა და ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას.